- 2017 წელს გაიხსნა კომპანიის ბათუმის ფილიალი. ფილიალის საშუალებით დასაველო საქართველოს მომხმარებლებს უშუალოდ შეეძლება გაეცნონ ჩვენს საქონელს და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია მათ შესახებ, რაც დადებითად იმოქმედებს გაყიდვებზე ამ რეგიონში. ბათუმში იგეგმება სერვისცენტრის გახსნაც.

- მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში დაგეგმილია სარეკლამო პროცესის გააქტიურება, რისთვისაც კომპანიას გამოყოფილი აქვს მნიშვნელოვანი სახსრები. დაწყებულია მუშაობა კომპანიის სპეციალური ვებგვერდის მეშვეობით შეკვეთების მიღების გასაზრდელად და კომპანიის მიერ ორგანიზებული აქტივობებისა და აქციების შესახებ ინფორმაციის დროულად და ხარისხიანად მისაწოდებლად.

4. კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები:

4.1. კომპანიაში ამ ეტაპზე რაიმე კვლევები არ ტარდება.

5. შრომის დაცვისა და უსაფრთხოების მდგომარეობა:

5.1. ავტოსერვისის თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან, როგორც ტექნიკური აღჭურვილობით, ასევე სეზონის შესაბამისი სპეცტანსაცმლით;

5.2. შექმნილია ნორმალური სამუშაო გარემო საწარმოო პერსონალის და ეკონომიკური პერსონალისთვის. ამასთან, სამუშაო პროცესის დროს დაცულია უსაფრთხოების ნორმები.

6. სოციალური პროექტები:

6.1. კომპანია დიდ ყურადღებას უთმობს დასაქმების პროგრამას. კერძოდ უკანასკნელ სამ წელიწადში დასაქმებულთა საერთო რაოდენობა დაახლოებით 9 %-ით გაიზარდა, რაც თვალნათლივ ჩანს ქვემოთ მოცემულ ცხრილში:

მაჩვენებლების დასახელება	2017 წ.	2016 წ.	2015 წ.
დასაქმებულთა საშ. წლიური საერთო რაოდენობა	60	55	55
მ.შ. ქალები	29	25	25

წარმოდგენილი მმართველობის ანგარიშგება ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებულია 2018 წლის 28 სექტემბერს.

შპს-ის „ომეგა მოტორსი“

დირექტორი

დ. აბო



/ლეილა აბულაძე/

შპს „ომეგა მოტორსი“ (საიდენტიფიკაციო N245433231)

განმარტებითი შენიშვნები 2017 წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ომეგა მოტორსი“ (შემდგომში „საწარმო“) დაფუძნებულია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის შესაბამისად და რეგისტრირებულია ბათუმის სასამართლოში 1999 წლის ივნისში, აღნიშნულ პერიოდში საწარმოს დამფუძნებლებს წარმოადგენდნენ კომპანია Sebastreide (80%) და ზაზა ოქუაშვილის (20%). 2002 წლის 05 დეკემბერს განხორციელდა ცვლილება და საზოგადოების წილები შემდეგნაირად განისაზღვრა:

- კომპანია „Frysian Engineering“ – წილი 80%;
- ფიზიკური პირი ზაზა ოქუაშვილი – წილი 20%;

1.1. კომპანიის ძირითადი საქმიანობა:

- G.45.11.1 საბითუმო ვაჭრობა ახალი და ნახმარი ავტომობილებით;
- G.45.11.2 საცალო ვაჭრობა ახალი და ნახმარი ავტომობილებით;
- G.45.19.0 სხვა ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გაყიდვა;
- G 45.11.3 საშუაშაველო საქმიანობა ავტომობილების საბითუმო და საცალო ვაჭრობის სფეროში;
- G45.20.0 ავტომობილების ტექნიკური მომსახურება და რემონტი;
- G45.31.0 საბითუმო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით;
- G 45.32.0 საცალო ვაჭრობა ავტომობილების ნაწილებით და აქსესუარებით;
- სხვა საქმიანობა, რაც მოქმედი კანონმდებლობით არ არის აკრძალული.

1.2. საწარმო წარმოადგენს მეორე კატეგორიის (საშუალო) საწარმოს. მას არ გააჩნია საჯარო ანგარიშგებულება;

1.3. შვილობილი და მეკავშირე საწარმოები:

საწარმოს გააჩნია მეკავშირე საწარმოები:

- შპს ტელე-რადიო კომპანია „ქართლი“ (ს/კ 217879482). კაპიტალი 5000 ლარი და წილი კაპიტალში - 25 პროცენტი - 1250 ლარი;
- შპს „ილიონი“ (ს/კ 245434150). კაპიტალი 2 087 494 ლარი და წილი კაპიტალში 20 პროცენტი – 417 499 ლარი.

წილები აღრიცხულია აქტივში – გრძელვადიანი ინვესტიციები.

საანგარიშო პერიოდში აღნიშნული საწარმოებიდან დივიდენდები არ არის მიღებული და არც წილების ცვლილება განხორციელებულა.

შპს „ომეგა მოტორსი“ მოცემული საწარმოების კონტროლს ვერ ახორციელებს და მათი ფინანსური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას არ ფლობს.

1.4. საწარმოს სტრუქტურა:

- ავტომანქანების შოურუმი თბილისში;
- ავტომანქანების შოურუმი ბათუმში;
- სათადარიგო ნაწილების საწყობი;
- ავტოსერვისი;
- მარკეტინგის განყოფილება;
- ეკონომიკური განყოფილება;
- საფინანსო განყოფილება.

2. მნიშვნელოვანი მოვლენები:

2.1. საწარმოს კონკურენტუნარიანობის ამაღლების მიზნით 2017 წელს ექსპლუატაციაში შევიდა ბათუმის შოურუმი.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა:

3.1. საწარმოს მიერ 2017 წლის ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მსს ფასს-ის შესაბამისად ხდება პირველად. საქართველოს კანონი „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ ძალაში შევიდა 2016 წლის ივნისში, ამდენად, წინა პერიოდებში ფინანსური ანგარიშგება წარდგენილი არ ყოფილა;

3.2. საწარმოს საოპერაციო (მუშა) და საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს ეროვნული ვალუტა – ლარი;

3.3. მსს ფასს-ის 35-ე განყოფილების თანახმად 2015 წლის მაისში გამოცემული დოკუმენტის – „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესწორებები (მსს ფასს)“ - შედეგად ცვლილებები შევიდა მსს ფასს-ის რიგ მუხლებში, რომელთა გამოყენება სავალდებულოა 2017 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის;

3.4. საწარმოს წინა საანგარიშგო პერიოდებში იყენებდა ბუღალტრული აღრიცხვის ტრადიციულ მეთოდებს და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მსს ფასს-ის მიხედვით ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სისტემაზე გადავიდა 2017 წლის 1 იანვრიდან.

3.5. სააღრიცხვო პოლიტიკა, რომელსაც შპს „ომეგა მოტორსი“ იყენებდა მსს ფასს-ზე გადასვლამდე, არსებითად არ განსხვავდება იმ სააღრიცხვო პოლიტიკისგან,

რომელიც გამოყენებულია 2017 წლის 01 იანვრიდან. აღნიშნულის გათვალისწინებით მსს საწარმოთა სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე არსებული ოპერაციების, მოვლენებისა და გარემოებების შედეგად შესაბამისი კორექტირებების აუცილებლობა არ წარმოქმნილა და ამ სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის კორექტირების თანხები გაუნაწილებელ მოგებაში ან, საკუთარი კაპიტალის სხვა კატეგორიაში აღიარებას არ დაექვემდებარა.

3.6. საწარმოს მიერ, ფინანსური ანგარიშგება შედგენილია „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ კანონისა და „სუბიექტების მიერ ანგარიშგებებისა და აუდიტორული დასკვნის წარდგენის, მესამე კატეგორიის საწარმოს მიერ ფინანსური ანგარიშგების გამარტივებული სახით წარდგენის, წარდგენილი ინფორმაციის გასაჯაროების, ანგარიშგების პორტალის სტრუქტურისა და მომხმარებელთა რეგისტრაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 18 სექტემბრის №6-15 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

3.7. ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ საწარმოს ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა საანგარიშგებო პერიოდის 2016 წლის ფინანსური ინფორმაცია, რომელსაც საწარმოთა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით არსებითი გავლენა არ მოუხდენია ფინანსური ანგარიშგების ფინანსურ და არაფინანსურ მუხლებში შესატან ინფორმაციაზე და შესაბამისად მოგება-ზარალსა და კაპიტალზე.

3.8. საწარმოს მიერ წარმოდგენილი 2017 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპისა და მსს ფასს-ის შესაბამისად;

3.9. ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური საქმიანობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №1);
- საქმიანობის შედეგების შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №2);
- ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №3);
- კაპიტალის მოძრაობის შესახებ ანგარიშგებას (ფორმა №4);
- განმარტებით შენიშვნებს.

3.10. საწარმოს ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშგებაში საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან მიღებულ ფულად სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახა გამიჯნულად, პირდაპირი მეთოდით;

3.11. უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები აისახება ეროვნულ ვალუტაში ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსით, ხოლო ნაშთი საანგარიშგებო წლის ბოლოსათვის – 31 დეკემბერს არსებული კურსით;

3.12. საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე, საწარმო იყენებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის თვითღირებულების მოდელს. ბარტერიითა და უსასყიდლოდ მიღებული ძირითადი საშუალებები თავდაპირველი აღიარებისას აღირიცხება რეალური ღირებულებით. ძირითადი საშუალებები ანგარიშგებაში აისახა ისტორიული ღირებულებით, ცვეთის გამოკლებით;

3.13. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ დადგენილა. აქედან გამომდინარე, გრძელვადიანი მატერიალური და არამატერიალური აქტივების გაუფასურება ასახული არ არის;

3.14. მატერიალური მარაგები, საწარმოს სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, აღირიცხება უწყვეტი მეთოდით, ხოლო მარაგების თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოყენებულია „საშუალო შეწონილი“ მოდელი; ავტომობილების თვითღირებულების განსაზღვრა სპეციფიურია, რადგან ყოველი მათგანი აღირიცხება უნიკალური კოდის მიხედვით ინდივიდუალურად, რეალური ღირებულებით.

3.15. საანგარიშო და საანგარიშოს წინა პერიოდი საწარმომ ზარალით დაასრულა. დარიცხული ნაშთები არ გააჩნდა და შესაბამისად დივიდენდების დარიცხვას და გაცემას ადგილი არ ჰქონია;

3.16. მრავალჯერადი გამოყენების მცირეფასიანი ინსტრუმენტები და ტექნოლოგიური ინვენტარი, რომელთა სასარგებლო ეკონომიკური გამოყენების ვადის საიმედოდ განსაზღვრა შეუძლებელია, მიკუთვნებულია სხვა მიმდინარე აქტივებზე;

3.17. საწარმოს საავტორო უფლებები და სამარკო ნიშანი არ გააჩნია; არამატერიალურ აქტივებად აღიარებულია მხოლოდ შეძენილი სააღრიცხვო პროგრამები;

3.18. ავტოსერვისში გახარჯული დამხმარე მასალები, რომელთა ხარჯვის ნორმის საიმედოდ დადგენა ვერ ხერხდება, ჩამოიწერება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად.

3.19. ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის საწვავის შესყიდვა წარმოებს ტალონებით და აღირიცხება შესყიდვის ღირებულებით. ტალონები აღირიცხება მარაგების სახით განცალკევებულად. საწვავი საბუქსირე და მომსახურე ავტომობილებზე ჩამოიწერება ავტოსაგზაო ბარათების მიხედვით ფაქტობრივად გარბენილი კილომეტრებისა და ხარჯვის ნორმების შესაბამისად. დიზელის საწვავი

გამოიყენება ავტოსერვისშიც, ძირითადად სამღებრო სამუშაოებზე და ხარჯვის ნორმის საიმედოდ დადგენა ვერ ხერხდება. იგი ჩამოიწერება ფაქტობრივი დანახარჯების შესაბამისად.

3.20. საწარმოს ორ სუბიექტთან გააჩნია მიმდინარე სასამართლო დავები. მათზე დარიცხული მოთხოვნები აღრიცხულია საექვო მოთხოვნებში.

3.21. შემოსავლები და ხარჯები აღირიცხება დარიცხვის მეთოდით;

3.22. ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლები და ხარჯები და მოგება-ზარალი აისახება ერთი ანგარიშგების წარდგენის მეთოდით (მოდელით);

3.23. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად საწარმო მოგების გადასახადით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დაბეგვრის ობიექტია განაწილებული მოგება, ხარჯები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო მიზნისათვის არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ან განაცემებს.

3.24. საგადასახადო ვალდებულებების დარიცხვა წარმოებს საგადასახადო ანგარიშგებაში ასახული (გაანგარიშებული) გადასახადის ოდენობით (შესაბამის დეკლარაციაში ასახული თანხით);

3.25. საწარმოს ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება მიღებულია და ნებადართულია გასაცემად 2018 წლის 28 სექტემბერს;

3.26. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენას ადგილი არ ჰქონია.

4. განმარტებითი შენიშვნები ანგარიშგებაზე ფინანსური მდგომარეობის შესახებ

4.1. ანგარიშგება საწარმოს ფინანსური მდგომარეობის შესახებ შედგენილია მსს ფასის მე-2, მე-4 და მე-11 განყოფილებების შესაბამისად;

4.2. ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია რეალური ღირებულებით:

4.2.1. სასესხო ვალდებულებები ეროვნულ ვალუტაში ასახულია რეალური ღირებულებით, მიღებული სესხის თანხით, ხოლო უცხოურ ვალუტაში მიღებული სესხები ასახულია რეალური ღირებულებით, საკურსო სხვაობის შედეგების მოგება-ზარალში ასახვით;

4.3. საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს გაცემული სესხები არ უფიქსირდება

4.4. მიღებული ბანკის კრედიტები:

4.4.1. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში საწარმოს ბანკის კრედიტების სახით სულ ერიცხებოდა – 4 398 005 ლარის დავალიანება, ხოლო პერიოდის ბოლოსათვის ნაშთად დარჩა – 3 399 222 ლარის საკრედიტო ვალდებულება. მათ შორის:

- საზოგადოებას ს.ს. საქართველოს ბანკიდან მიღებული ჰქონდა რამდენიმე კრედიტი. კერძოდ:

- 1) ს.ს. საქართველოს ბანკის კრედიტის ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის – 263 748 ევროს (736 911 ლარს) შეადგენდა. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი თანხა არ დაფარულა, ვალუტის საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი აისახა – 81 867 ლარი. შესაბამისად, დავალიანებამ პერიოდის ბოლოს – 263 748 ევრო (818 779 ლარი) შეადგინა; კრედიტი მიღებული იყო წლიური საპროცენტო განაკვეთით -12 %;
- 2) ს.ს. საქართველოს ბანკის კრედიტის ნაშთი პერიოდის დასაწყისისათვის – 463 533 ევროს (1 295 112 ლარს) შეადგენდა. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი თანხიდან დაიფარა – 99 363 ევრო (271 612 ლარი), ვალუტის საკურსო სხვაობის შედეგად მიღებული ზარალი აისახა – 107 030 ლარი. დავალიანებამ პერიოდის ბოლოს – 364 170 ევრო (1 130 531 ლარი) შეადგინა; კრედიტი მიღებული იყო წლიური საპროცენტო განაკვეთით - 12 %;

– ს.ს. ვი-თი-ბი ბანკისაგან წინა პერიოდში მიღებული კრედიტების ნაშთი 01.01.2017 წლის მდგომარეობით – 447 554 ევრო (1 250 467 ლარი) შეადგენდა. საანგარიშგებო პერიოდში კრედიტის ძირითადი თანხიდან დაიფარა – 146 439 ევრო (416 667 ლარი). საკრედიტო ვალდებულებების გადაფასების შედეგად საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი – 101 292 ლარით განისაზღვრა. საკრედიტო დავალიანების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს – 301 115 ევროს (935 092 ლარს) შეადგენდა. კრედიტი მიღებული იყო წლიური საპროცენტო განაკვეთით - 9%.

– ს.ს. ტერაბანკისაგან წინა პერიოდში მიღებული კრედიტების ნაშთი 01.01.2017 წლის მდგომარეობით – 399 254 ევრო (1 115 515 ლარი) შეადგინა. საანგარიშგებო პერიოდში კრედიტის ძირითადი თანხიდან დაიფარა – 233 418 ევრო (659 846 ლარი). საკრედიტო ვალდებულებების გადაფასების შედეგად საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი – 59 151 ლარით განისაზღვრა. საკრედიტო დავალიანების ნაშთი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს – 165 836 ევროს (514 820 ლარი) შეადგენდა. კრედიტი მიღებული იყო წლიური საპროცენტო განაკვეთით - 11%.

4.4.2. ბანკის კრედიტებზე სესხის პროცენტის სახით დარიცხულია – 96 549 ევრო (270 284 ლარი), ხოლო გადახდილია – 67 451 ევრო (190 614 ლარი).

4.5. არასაფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები:

4.5.1. სასესხო ვალდებულებების ჯამი 01.01.2017 წლის მდგომარეობით – 4 398 114 ლარს, ხოლო წლის ბოლოსათვის – 6 049 701 ლარს შეადგენდა;

4.5.2. AGT (UK) TRADING-ს მიმართ ევროს სასესხო ვალდებულებების ნაშთი 01.01.2017 წლის მდგომარეობით – 400 000 ევროს (1 117 520 ლარს) შეადგენდა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში არ დაფარულა. საკრედიტო ვალდებულებების გადაფასების შედეგად საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი – 124 240 ლარით განისაზღვრა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკრედიტო დავალიანების ნაშთმა – 400 000 ევრო (1 241 760 ლარს) შეადგენდა. სესხით სარგებლობის პროცენტი - 6%-ით განისაზღვრა, სესხი საგარანტიო უზრუნველყოფის გარეშე;

4.5.3. მეორე სასესიო ხელშეკრულებით AGT (UK) TRADING-ს მიმართ სასესიო ვალდებულებების ნაშთი 01.01.2017 წლის მდგომარეობით – 50 000 აშშ დოლარი (132 340 ლარს) შეადგენდა, რომელიც საანგარიშგებო პერიოდში არ დაფარულა. საკრედიტო ვალდებულებების გადაფასების შედეგად საკურსო სხვაობით მიღებული მოგება – 2 730 ლარით განისაზღვრა. საანგარიშგებო წლის ბოლოს სასესიო ვალდებულებამ – 50 000 აშშ დოლარი (129 610 ლარი) შეადგინა. სესხით სარგებლობის პროცენტი - 6%-ით განისაზღვრა, სესხი საგარანტიო უზრუნველყოფის გარეშე;

4.5.4. მესამე სასესიო ხელშეკრულებით, AGT (UK) TRADING-ს მიმართ ევროს სასესიო ვალდებულებების ნაშთი 01.01.2017 წლის მდგომარეობით – 1 091 000 ევროს (3 048 254 ლარს) შეადგენდა. საანგარიშგებო პერიოდში დამატებით მიღებულია – 416 000 ევრო (1 167 389 ლარი). 2017 წელს მოცემული კრედიტის ძირითადი თანხის დაფარვას ადგილი არ ქონია. საკრედიტო ვალდებულებების გადაფასების შედეგად საკურსო სხვაობით გამოწვეული ზარალი – 462 688 ლარით განისაზღვრა. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საკრედიტო დავალიანების ნაშთმა – 1 507 000 ევროს (4 678 331 ლარს) შეადგენდა. სესხით სარგებლობის პროცენტი - 6%-ით განისაზღვრა, სესხი საგარანტიო უზრუნველყოფის გარეშე;

4.5.5. 2016 წელს შპს-სთან „ვესტა“ გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების შესაბამისად ვალდებულების ნაშთი 01.01.2017 წლის მდგომარეობით – 100 000 ლარს შეადგენდა, რომელიც ურთიერთნათვლის საფუძველზე სრულად დაიფარა საანგარიშგებო პერიოდში. აღნიშნული სესხი არ იყო უზრუნველყოფილი, ხოლო საპროცენტო განაკვეთი 13%-ით განისაზღვრებოდა.

4.5.6. 2017 წელს შპს-სთან „ომეგა 2“ გაფორმებული სასესიო ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულია 64 000 ლარის სესხი (საპროცენტო განაკვეთი 13%), საიდანაც - 45 000 ლარი დაბრუნებულია ფულადი ფორმით, ხოლო 19 000 ლარი გაქვითულია ურთიერთნათვლის საფუძველზე;

4.5.7. არასაფინანსო ინსტიტუტებიდან მიღებულ სესხებზე სესხით სარგებლობის პროცენტის სახით დარიცხულია 355 055 ლარი, საიდანაც – 9 200 ლარი დაფარულია ურთიერთნათვლების საფუძველზე.

4.6. მარაგების აღრიცხვისათვის გამოყენებულია თვითღირებულების მოდელი. თავდაპირველი აღიარების შემდგომ საწარმო იყენებს თვითღირებულების განსაზღვრის „საშუალო შეწონილ“ მეთოდს;

4.6. სამეურნეო და საკანცელარიო დანიშნულების მარაგები შესყიდვისთანავე აღიარდება ხარჯად;

4.7. ძირითადი საშუალებების აღრიცხვა წარმოებს მსს ფასს-ის მე-17 გნყოფილების შესაბამისად. ძირითადი საშუალებების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი, ხოლო უსასყიდლოდ მიღებული აქტივები რეალური ღირებულებით. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ძირითადი აქტივები ასახულია ნარჩენი ღირებულებით. საანგარიშგებო პერიოდში ძირითადი აქტივების გაუფასურების ნიშნები არ გამოვლენილა;

4.8. საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდა დაუმთავრებელი მშენებლობის ნაშთი, რომელიც შენდებოდა სხვის მიწის ნაკვეთზე აღნაგობის უფლებით. საანგარიშგებო პერიოდში დაუმთავრებელ მშენებლობაზე გაიხარჯა 408 433 ლარი. საანგარიშგებო პერიოდში აღნაგობის უფლება და მისი შემადგენელი ნაწილი დაუმთავრებელი მშენებლობა რეალიზებულია შპს-ზე „ვესტა“ 2 300 000 ლარად;

საწარმოს საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში ნაშთად ერიცხებოდა ორი შენობა-კაპიტალური და ანგარის ტიპის, რომლებიც საანგარიშგებო პერიოდში რეალიზებული იქნა შპს-ზე „ვესტა“ შესაბამისად 900 000 და 760 000 ლარად.

4.9. საწარმოს რეორგანიზაცია საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა;

4.10. საწარმოს იჯარით აქვს აღებული არასაცხოვრებელი ფართები და მოძრავი ქონება:

N	დასახელება	პ/ნ	მისამართი	ვადა	შენიშვნა
1	ფ/პ ირაკლი მახარაძე	61007001849	ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 5-7/რუსთაველის 43	7/20/2017	
2	შპს „ბენმონტი - BENMONT“	405010731		უვალო	მოძრავი ქონების იჯარა
3	შპს „ინფორი“	404520648	აღმაშენებლის ხეივანი, თბილისი მოლი	6/11/2017	
4	შპს „ოიგა 2“	245422608	ქ. თბილისი, სარაჯიშვილის ქ. №13-15-17	6/6/2017	
5	შპს „მატრიქსი“	245440447	ქ. თბილისი, კერესელიძის ქ. №23	უვალო	
6	შპს „ლორუსი“	245441936	ქ. ბათუმი, მელიქიშვილის 5-7/რუსთაველის 43	5/1/2019	
7	შპს „ოქო“	245434169	ქ. თბილისი, იოანე პეტრიწის ქ. №13	უვალო	

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს ფინანსური იჯარისა და უკუიჯარის გარიგებები არ ჰქონია.

5. საწარმოს საქმიანობის შედეგების ანგარიშგება

5.1. ანგარიშგება საწარმოს საქმიანობის შედეგების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №2-ის სახით;

5.2. საოპერაციო შემოსავლები და რეალიზებული საქონლის/მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია აგრეგირებული სახით, ხოლო ადმინისტრაციული და საერთო ხარჯები მუხლობრივად ეკონომიკური შინაარსის მიხედვით;

5.3. არასაოპერაციო შემოსავლები, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობიდან, მოცემულია განცალკევებულად;

5.4. საწარმო მოგების გადასახდით იბეგრება ე.წ. „ესტონური მოდელით“. დასაბეგრ ბაზას წარმოადგენს არა მოგების გადასახადი, არამედ გაცემული დივიდენდები და მასთან გათანაბრებული განაცემები, აგრეთვე გადახდები და განაცემები, რომლებიც საგადასახადო კოდექსით არ მიეკუთვნება ეკონომიკურ საქმიანობას;

5.5. საგადასახადო მიზნისათვის მოგების გადასახადსა და სააღრიცხვო მოგებიდან მოგების გადასახადის ტარიფით გამოთვლილი მოგების გადასახადის სხვაობა მსს ფასის მიხედვით, ერთის მხრივ, უნდა აისახოს საგადასახადო აქტივის, ან გადავადებული გადასახადის სახით, მაგრამ, მეორეს მხრივ, ასეთი სხვაობა გამოწვეულია არა შემოსავლებისა და ხარჯების აღრიცხვის დროებითი სხვაობებით, არამედ, დაბეგვრის ბაზის ფორმირების არსებითი სხვადასხვაობით. ამასთან, აღნიშნული გაურკვეველობა რაიმე ნორმატიული აქტით არ რეგულირდება.

აღნიშნულისა და იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოო საანგარიშგებო წელს მიიღო ზარალი, მსს ფასს-ის მე-3 განყოფილების (პ. 3.4-3.7) საფუძველზე მიღებული იქნა გადაწყვეტილება საანგარიშგებო პერიოდში გადახდილი მოგების გადასახადი არ აისახოს საგადასახადო აქტივის სახით.

6. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ

6.1. ანგარიშგება ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ (ფულადი ნაკადების ანგარიშგება) წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №3-ის სახით;

6.2. ანგარიშგება ფულადი ნაკადების შესახებ წარმოდგენილია პირდაპირი მეთოდით, რომელიც ასახავს ინფორმაციას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში, საწარმოს ფულად სახსრებსა და ფულადი სახსრების ეკვივალენტებში მომხდარ ცვლილებებს, რომელიც ამონაგებისა და ხარჯების სახით მოიცავს ფულად შემოსულობებსა და გასავლებს:

- საოპერაციო საქმიანობიდან;
- საინვესტიციო საქმიანობიდან;
- საფინანსო საქმიანობიდან;

6.3. მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით ფულად ნაკადებში საოპერაციო საქმიანობიდან შეტანილია: მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები, საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები, დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები, მოგების გადასახადთან დაკავშირებული ფულადი სახსრები, სხვა საოპერაციო ხარჯები;

6.4. ფულად ნაკადებში საინვესტიციო საქმიანობიდან შეტანილია: ძირითადი საშუალებების, არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების გაყიდვიდან მიღებული ფულადი სახსრები, ძირითადი საშუალებების (მათ შორის, საკუთარი წარმოების ძირითადი საშუალებების), არამატერიალური და სხვა გრძელვადიანი აქტივების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები და კაპიტალიზებადი ხარჯებისათვის გადახდილი თანხები.

საანგარიშგებო პერიოდში საწარმოს დივიდენდები არ მიუღია, სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის შესაძენად ფულადი სახსრები გადახდილი არ არის, სხვა საწარმოების წილობრივი ან სავალო ინსტრუმენტებისა და ერთობლივი საქმიანობის წილის გაყიდვიდან ფულადი სახსრები მიღებული არ არის;

6.5. ფულად ნაკადებში საფინანსო საქმიანობიდან შეტანილია: სესხის გაცემიდან მიღებული ფულადი სახსრები, მიღებული სესხებისა და კრედიტების დაფარვასთან დაკავშირებული გასავალი, მიღებული და გადახდილი პროცენტები, გადახდილი როიალტი, ფინანსურ ოპერაციებთან დაკავშირებული მომსახურების ანაზღაურება. სესხებთან დაკავშირებული ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსური მდგომარეობის განმარტებით შენიშვნებში.

სავალო ფასიანი ქაღალდები, თამასუქები, ობლიგაციები საანგარიშგებო პერიოდში გამოშვებული არ ყოფილა.

6.6. მსს ფასს-ის თანახმად სავალუტო კურსების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი არარეალიზებული შემოსულობა ან ზარალი არ მიიჩნევა ფულად ნაკადად. თუმცა, საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში და დასასრულისთვის არსებული ფულადი

სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები;

7. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

7.1. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფასს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №4-ის სახით;

7.2. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ზარალი, სრული შემოსავალი, საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა და შეცდომების გასწორების შედეგები.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა. კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მიღებული ზარალით არის გამოწვეული.

7.3. საანგარიშგებოს წინა და საანგარიშგებო პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება არ მომხდარა, რაც გასწორდა ფინანსური ანგარიშგების შედეგის პროცესში.

7.4. სააღსრულებლო ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილებით საწარმოს აკრძალული აქვს მოგების განაწილება (დივიდენდების მიღება) მეკავშირე საწარმო შპს-სგან „ილიონი“, რადგან წილებზე გავრცელებულია დროებითი შეზღუდვა.

7.5. კაპიტალში პარტნიორთა შენატანი 10 136 126 ლარს (ათი მილიონ ასოცდათექვსმეტი ათას ასოცდახუთი ლარი) ლარს შეადგენს. დამატებითი შენატანი საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა.

7.6. კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში შემცირდა მიღებული ზარალის ხარჯზე, 1 092 873 ლარით.

შ.პ.ს „ელკო აუდიტი“ დირექტორი

სერტიფიცირებული აუდიტორი

(სერტიფიკატი №6/232; სარეგისტრაციო N SARAS-F-501962)

/მუხრან ქამადაძე/

სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტების შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ასახულია საკურსო სხვაობის შედეგები;

7. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ

7.1. ანგარიშგება საწარმოს კაპიტალში ცვლილებების შესახებ წარმოდგენილია მსს ფსს-ისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის მიერ დამტკიცებული ფორმა №4-ის სახით;

7.2. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში წარმოდგენილია საანგარიშგებო პერიოდის ზარალი, სრული შემოსავალი, საანგარიშგებო პერიოდში აღიარებული სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებისა და შეცდომების გასწორების შედეგები.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მესაკუთრის (პარტნიორის) მიერ საწარმოს კაპიტალში დამატებითი შენატანი არ განხორციელებულა. კაპიტალში ცვლილება მხოლოდ მიღებული ზარალით არის გამოწვეული.

7.3. საანგარიშგებოს წინა და საანგარიშგებო პერიოდებში ეროვნული ვალუტის გაცვლითი ოფიციალური კურსის ცვლილების შედეგად უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი მუხლების გადაფასება არ მომხდარა, რაც გასწორდა ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესში.

7.4. სააღსრულებლო ეროვნული ბიუროს გადაწყვეტილებით საწარმოს აკრძალული აქვს მოგების განაწილება (დივიდენდების მიღება) მეკავშირე საწარმო შპს-სგან „ილიონი“, რადგან წილებზე გაერცვლებულია დროებითი შეზღუდვა.

7.5. კაპიტალში პარტნიორთა შენატანი 10 136 126 ლარს (ათი მილიონ ასოცდათექვსმეტი ათას ასოცდახუთი ლარი) ლარს შეადგენს. დამატებითი შენატანი საანგარიშგებო პერიოდში არ განხორციელებულა.

7.6. კომპანიის საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდში შემცირდა მიღებული ზარალის ხარჯზე, 1 092 873 ლარით.

შპს „ელკო აუდიტი“ დირექტორი

სერტიფიცირებული აუდიტორი

(სერტიფიკატი №6/232; სარეგისტრაციო N SARAS-F-501962)

/მუხრან ქამადაძე/

